

1934.



# მეცნიერება



1934

N 5-6



ପରିଲ୍ଲେତାରୁଥିମ ପ୍ରଦାନ କରୁଥିଲେ, -ଶ୍ରୀରାମଙ୍କଣ!

# ବ୍ୟକ୍ତିଗତ ପାଠ୍ୟରେ

პრეზიდენტის მიერ საბაზო შურისლი № 5—6.

810 — 0360

საქართველოს ბ. კ. მ. ცენტრალური ბიუროს

۱۹۷۰

ହୁଏ ଫାନ୍ଦାଟଲ୍ଲେବିଲ୍ ବେଳେ, ପ୍ରମିଳେବାନୀକୁଠିଲ୍ ବେଳେ

1934

30511660

		83
1. პირველი ულელი, — იანისა . . . . .		1
2. მერტბალი პოონერი, — ნ. ტყეშელაშვილისა . . . . .		2
3. ქალაქებრეთ, — გიორგი კაჭახიძისა . . . . .		6
4. სელლისაკენ, — ლავრ. ჭიჭინაძისა . . . . .		7
5. მინდონში, — ნ. შეველიძისა . . . . .		11
6. მამუკას ტყუილები, — გ. კალანდაძისა . . . . .		12
7. ჩეენი რაზის ედობონი, — ალ. ბილანიშვილისა . . . . .		18
8. ალეკო, — თ. მოლებაძისა . . . . .		19
9. პირველი მაისი, — ლადო გიგიშვილისა . . . . .		21
10. ვასეპა — აკატორი, — გამომკუთხებული შ. თაბუკაშვილის მიერ . .		22
11. ჯიმ ქროუ, — თარგმანი ელა-ისა . . . . .		27
12. მგელი და მელა, — გ. ლომთათიძისა . . . . .		30
13. ოქტომბერი, — დ. ბერიკი ფილისა . . . . .		ყდანე

# კირვეის ულაზი.

ვერ იყენებს უღელს ნიშა,  
გაურბის და ავიც ხდება,  
უზრუნველი რბენა-ხტომა  
კიდევაც არ ავიწყდება.  
დღეს პირველად სიცოცხლეში  
მოსახნავად ერგო ყანა  
და შეუბეს უღლის ცალად  
ხარი მჭლე და ბებრუხანა.  
იფნის უღლით დაამძიმეს, —  
უფრო მალე გარდიქმნება, —  
ზედაც მეხრე შემოუჯდა,  
არ გასწიოს არ იქნება.  
აპეური გაუნასკეს,  
სახნავია ძნელად ყანა,  
სახნის მოსდომ გუთნის დედაშ  
და ქვესკნელში ჩაიყვანა.  
რცხილის სახრე დაიჭირა,  
ფიცხელი და ცხარზე ცხარე,

არ გაჭიმავ?  
არ გყას, ნიშავ,  
არც მცველი და არც შემწყალე.  
განა იქნებ ხის უღელი  
გეუცხოვა, გეალრევა?  
განა იქნებ არ შეგფერის  
გუთნისა და უღლის თრევა?  
იქნებ ფიქრობ: ძველებურად  
უდარდელად სძოვდე ბალას;  
იქნებ ფიქრობ მურა ძალოთან  
კვლავ ჭიდილს და ხათაბალას?  
ნახ?

მურაც აგერიდა  
და არც ისე უმიზეზოდ:  
დაეზარდა ნიშას რქები,  
გაუხეშდა, გვერდში მცემსო,  
რა დროს მაგის თამაშია,  
რა უბრალოდ კარგავს ჯანსო.



გიუვავებს და ავიც ხდება?  
ხარი გახდი, ნიშა, ხაროდირთვა  
აბა, რისთვის გავიწყდება?!

მაშ გაუწი, გასწი ულელს,  
მოსახნავად გერგო ყანა,  
ეგ მოცალე ვერ გაჯობებს,  
ხარი მქლე და ბებრუხანა!

იანი-



# მარსხალი კორნერი

— ჰაი, შე ყაჩალო! — შესძახა მიხომ ციცუნიას, თან ხელი სტაცა ყელში და პირიდან მერცხლის ბარტყი გააგდებინა.

— რა მოხდა, შვილო? — შეეკითხა მელანო სკოლიდან დაბრუნებულ მიხოს.

— ხედავ, დედი, ციცუნიას რა ონი ჩაუდენია: მერცხლის ბარტყი პირიდან ძლიერ გავაგდებინე.

— ყოჩალ, შვილო, ყოჩალ! მაგ არამზადა ასე ემტერება ამ საყვარელ ფრინველს. მოძეიცი, შვილო, ენახო. ვაი თუ სულ დაკაწრა, სუსტია, ახლად-დაფრენილი, თორემ დიდს ვერ დაიკერს, მაგას საკბილოდ ვერ მიართმე-  
ვნ.



მელანომ მერცხლის  
ბარჩეული გულდაგულ და-  
ათვალიერა.

— დიდათ არ არის  
დაშავებული, დაიკი, მე  
ცოტა იოდი მაქვს, მო-  
ვიტან.

მელანომ იოდი გამო-  
იტანა, მობანა დაკაწრუ-  
ლი ადგილები და იოდი  
წაუსვა. მერცხალი სულ ფართხალებდა.

— დედა, გული ძალზე უცემს, ალბათ, ეშინია ჩვენი.

— არა, შეილო, კატისაგან არის შეშინებული, საყვარელ  
მერცხალს ადამიანი არ ერჩის. აი თავვი, ვირთაგვა, კვერნა და  
კატა ემტერებიან: ბუდეს უნგრევენ, კვერცხებს და პატარა ბარ-  
ტყებს უსპობენ. როცა მოიხრდებიან ბარტყები და ფრენას კარ-  
გად შეძლებენ, ესენი ვერას დააკლებენ.

მელანომ კიდეც გაათავა მერცხლის მოვლა და უნდოდა  
გაეშვა.

— არა, დედი, გნაცვა, მე გალიაში ჩაესვამ, ძლიერ კარგად  
მოვუვლი, იჭიკეტის ჩვენთვის.

— შვილო, გალიაში მერცხლის ჩასმა ყოვლად შეუძლებელია:  
ვერ იტანს ტყვეობას, თავისუფლება უხდება, მაღლა ცაში  
ნავარდობა. ხომ ხედავ, მერცხალი ყოველთვის მაღლა ფრინავს,  
იქ პოულობს თავის საზრდოს. მერცხალი შორს ხედავს და  
ფრენის დროს იქერს კოლობებს, ბუზებს, პეპლებს და სხვ, მწე-  
რებებს. აქ შენს გალიაში როგორ გაძლებს, მოკვდება და ჩვენ  
ამისთანა კოტება, ლამაზი და ცერიალა ფრინველი მოვკლათ!

ამათ ლაპარაკში მიხოს ამხანაგებმა, რომელნიც სკოლიდან  
შინ ბრუნდებოდენ, გაიგონეს მიხოს ეზოში ხმაურობა, შემოვი-  
დენ მასთან და დედა-შვილის ლაპარაკს უზრი დაუგდეს.

— დეიდა მელანო, ჩვენმა მასწავლებელმა ბევრი რამ გვი-  
ამბო მერცხალზე. მერცხალს დიდი სარგებლობა მოაქვს ადამია-  
ნისათვის.

— დეიდა მელანო, — მიმართა პატარა დიტომ მიხოს დედას, —  
ნება მოგვეცი ცოტახანს ვუცქიროთ ამ შშვენიერ ჩიტს და  
მერე გაუშვებთ.

— კეთილი, აბა თქვენ იცით, როგორ შეასრულებთ თქვენს  
სიტყვას, მე კი ოჯახს უნდა მივხედო. ამ სიტყვებით მელანო



სახლში შებრუნდა, მიხომ მერცხალი გალიაში ჩასვა და ზემოთ  
მაგიდაზე დადგა.

— ნეტავი ვიჭოდე, მერცხალი რუსეთში თუ არის? ამავათთვის  
ხა პატარა დიტო.

— რუსეთში კი არა, მთელ დედამიწაზეა, — განმარტა სან-  
დრომ. — ის თბილ ქვეყნებში მეტხანს ცოცხლობს, და სადაც  
დიდი ზამთარი იცის, იქ ცოტახანს. მერცხალი ხომ მწერებით  
იკვებება, ამიტომ თოვლს გაურბის. ჩვენთან მოფრინავს მარტის  
ბოლო რიცხვებიდან 15 აპრილამდის, ამიტომ მას გაზაფხულის  
ჩიტს ეძახიან. მერცხალი ჩვენთან რჩება სექტემბრის დამლვეა-  
მდის, მერე თბილი ქვეყნისეკნ მიფრინავს, მეტ წილად აფრი-  
კაში. იქ სულ არ იცის ზამთარი. ვერც დიდ სიცხეს იტანს  
მერცხალი და როგორც კი ჩამოცხება იქ, ჩვენკენ მოფრინავს.

— რატომ ჩვენ ვერ ვხედავთ, როდესაც ისინი იქით მიფრი-  
ნავნ, ან აქეთ მოფრინავნ? — იკითხა მიხომ.

— ისინი ღამით მიფრინავნ ყველა ერთად. ისვენებენ მაღალ  
ადგილზე, ხშირად ეკლესის სამრეკლოზე ან გუმბათზე. როდე-  
საც უფროსები მისცემენ ნიშანს, მაშინ წამოიშლებიან და მი-  
ფრინავნ. მათში წესრიგი სასტიკად დაცულია, უფროსებს  
უჯერებენ.

— დიახ, — უპასუხა დოდომ, — უფროსებს გამოცდილება  
აქვს, დაკვირვება, რამდენჯერმე უმგზავრიათ. ახალგაზრდებმა  
რა იციან უცხო ქვეყნისა, ამიტომაც უჯერებენ უფროსებს და  
მიპყვებიან მათ მწყობრად,

— ძალიან გამრავლებული მრდიან აქედან მერცხლები? —  
იკითხა მიხომ.

— ის ისე სწრაფად არ მრავლდება, როგორც ბელურა, ის  
ორჯერ გამოჩეუს, თუ ამინდი და სხვა გარემოება ხელს უწყობს.  
4—6 ბარტყებ ჩეკს, მაშინ, როდესაც ბელურა 4-ჯერ გამოჩეუს  
6—8 ბარტყებ თითო გამოჩეუს.

მერცხალი, როგორც იცით, ბუდეს სახლში იკეთებს — ქერში,  
ფანჯრის ზემოთ, — როგორც მოახერხებს. ნისკარტით აიღებს  
მსუქან მიწას, დაარგვალებს, ნერწყვით ერთიმეორეს აწებებს.  
ორივე მერცხალი 8 დღეში ბუდეს მოათავებს. მერე შიგნიდან  
გამოაფენენ რბილ რამეს: ბუმბულს, ლინდლს, პატარა ფრთას,  
თმას, რომ კვერცხები თბილად და რბილად იყოს. გამოჩეუს  
წინ ორივე მერცხალი ბუდეს ასწორებს, რომ პატარა ბარტყები  
არ შეწუხდენ. ბარტყები 12 დღეზე გამოიჩეკება, თუ ამინდი  
კარგია, თუ არა და 17 დღეზე. ორივე შშობლები გულდაგულ  
კვებავენ ბარტყებს. მესამე კვირას, ბარტყებს შეუძლიათ მი-

ჰყენ თავის მშობლებს ფრენაში. მათ საღამოობით ბუდეში აბრუ-  
ნებენ, შემდეგ ხეზე მოაწყობენ მოხერხებულად და ამის შემდევით თავს  
თავს ანებებენ შვილებს.

— არა, ფრენა როგორი სწრაფი იცის, თვალს ვერ მოატან! —  
გატაცებით ამბობდა მიხო.


— მაინც როგორი? ჩემი ბიძა თავის ყორანათი მაგას ვერ  
დაეწევა? — ამაყად წარმოთქვა ლადომ.

— ხა, ხა, ხა, — გადიხარხარქს ბავშვებმა.

— შენი ბიძა ყორანაზე კი არა, რაშე რომ შეჯდეს, მაინც  
ვერ დაეწევა, ჩემო ლადო: მერცხალი არა თუ ცხენსა და მატა-  
რებელს უსწრებს, ზოგ შემთხვევაში აეროპლანსაც დაეწევა.  
საათში 100 კილომეტრს აკეთებს. მე გამიგონია აგრეთვე, რომ  
პატარა ჩიტებს უყვართ მერცხალი, რადგან ის როცა დაინახავს,  
რომ ძერა, ქორი ან მიმინი სანადიროდ გამოვლენ, ნიშანს აძ-  
ლევს, ჩიტები იმაღლებიან და ამით გაჭირვებიდან იხსნის მათ.  
მერცხალს არ დაედევნებიან ეს მონადირე ფრინველები, რად-  
გან ვერ დაეწევიან.

— ბიქებო, ბიქებო! — დაიყვირა დიტომ, ხედავთ, ჩევნი მერ-  
ცხალი პიონერი ყოფილა.

ჟველა განცვიურდა. მიუახლოვდენ მერცხალს, რომელსაც  
ამდენ ხანს თავი ჰქონდა ჩაქინდრული. ახლა თავი მაღლა



აეღო და ხან იქით, ხან აქეთ იხედებოდა, თითქო გალიიდან  
გამოსავალს ეძებსო.

— ამხანაგებო, — მიმართა სანდრომ მოწაფეებს. — დიტო მარ-  
თალია, ზოგიერთ მერცხალს ყელზე ბუმბლი ისეთი წითელი  
აქვს, როგორიც ჩვენი ყელსახვევია.


— მაშ, ფრინველებში მერცხალი პიონერი ყოფილა. მერ-  
ცხალი ხომ სწრაფმოქმედია, შორსმხედველი, მავნებლების  
მოშსაბი, გაჭირვებაში მშველელი, ლამაზი, სასიამოვნო მოჭიკ-  
იკე, ერთი სიტყვით, ყველასათვის საყვარელი.

— ვაშა, ვაშა, ჩვენს ამხანაგ პიონერ მერცხალს! — შესძახეს  
ბავშებმა.

შემდეგ კი გააღეს გალია. მერცხალის წრაფად გამოფრთხილა-  
და, ქიქიკით მაღლა, მაღლა აფრინდა და მაღლე არემარეს  
მიეფარა.


ნინო ტეშელაშვილი.

# ქარებარე.



ბავშთა დღეა,  
ვმხიარულობთ,  
არ გვაეკლია ზრუნვა, მოვლა,  
ქალაქიდან ამ მაღლობზე  
დიდმა ავტომ მოგვაქროლა.  
ახლო ტყე და ბუჩქებია,  
ქვევით ნევში ვამჩნევთ ტირიფს...  
ვიღაც ტყეში უკრავს თარზე,  
სადღაც კიდევ მღერის სტვირი.  
კერ ვისვენებთ,  
ვხტივართ, ვცეკვავთ,  
ჰებარაბნე აოის კოტე,  
ვნმაურობთ და ვესალმებით  
შევანე ბალახს,  
მწვანე ყლორტებს.  
განატხულის გრილი სიოც

არის ცელქი, არის ურჩი,  
ბევრჯერ თვალის დასატკბობად  
დაარხია ვარდის ბუჩქი.  
ფერმერთალი და საამოა  
აქ ხეების ყველა ჩერო...  
ყვავის მიწა, და არ ვიცით,  
თვალი თუ საღ შევაჩეროთ!  
ეს მაისი მაინც მუდამ  
ასე მოდის, ასე გვალხენს,  
მოზეიმე ბავშვების ხმა  
ეფინება მთის ბალახებს.  
აქ რა დაგვლლის!  
გავერთობით,  
გავაკეთებთ ვარდის კონებს,  
საღამოს კი ღიღი ავტო  
ისევ უკან გაგვაქროლებს...  
გ. კაჭახიძე.



# სკოლის სამართლებულო

1

დილაა.

ტფილისის დილის ქრისტი პავლე ში ახლადამოცურებული შეის სხივები დათამაშებს. ქუჩები თანდათან ივსება ხალხით. უველა თავის საქმეზე მიიჩქარის.

ლიანაზად ჩატული ბავშვები სიხარულით მიხტიან სკოლისაკენ. ისინი იცინიან, რხუნჯობენ და თავიანთი გაკვეთილების შესახებ საუბრობენ.

— მე გუშინ მთელი დღე ვიმეცადინე და გაკვეთილები კარგად დავისწავლე. ჩემი სიბეჯითით მასწავლებლებსაც გავახარებ. შათ ძალიან უყვართ ბეჯითი მოწაფები, — ღიმილით მიმართა ამხანაგებს ლოყებაწითლებულმა თინამ.

— გაკვეთილი მეც კი ვისწავლე...

— ოჰ, ეგ ხომ მეც ვისწავლე...

ჯვუფად მომავალი პატარა გოგონები ასე ალაპარაკდენ თინას სიტყვების გამო.

ქუჩები ხმაურმია გახვეული და ამ ხმაურს ბავშვების წერილა ხმებიც უერთდება.

პატარა გოგონების ჯვუფიდან ლეილამ დაიწინაურა.

მან უველას გაასწრო, მერე შემოტრიალდა და ამხანაგებს არაჩვეულებრივი მხიარული სახით მიმართა:

— გაკვეთილი?! გაკვეთილი განა მე კი არ ვიცი?

— მაშსხვა რაღა უნდა გვესწავლა? — მიაძახეს თითქმის ერთხმად გაკვირვებულმა ბავშვებმა და უცებ დაფიქრდენ.

— იქნებ გაკვეთილებს გარდა გვქონდა რამე დავალება...  
ვითომ იყო?! რატომ არ გვახსოვს? რატომ ლეილამ დაიმექსოდა  
რა და ჩვენ კი...

ისინი ასე დააფიქრა ლეილას მომართვამ, რადგან მის სი-  
ტყვაში ნათლად ჩანდა, რომ გაკვეთილებს გარდა კიდევ დაეს-  
წავლა რაღაც. მათი უიქრი დიდხანს არ გაგრძელებულა, და  
ისევ ლეილას პასუხმა მიიპყრო ყველას უურადლება.

— გახსოვთ, გუშინ ჩვენი უურნალი რომ დაგვირიგეს, „ოქ-  
ტომბრელი“?

— ვიცით, ვიცით! — გაისმა პატარა გოგონების ხმა. მათ უეც-  
რად გაუბრწყინდათ სახე, პატარა ტუჩებზე იქბინეს და წარბები  
მაღლა ასწიეს. ისინი უკვე ზველაფერს მიხვდენ. ლეილამ კი  
ისევ სიცილით თქვა:

— ჰო და იქ ბევრი კარგი მოთხრობა და ლექსია დაბეჭ-  
დილი, ერთი ლექსი ზეპირადაც დავისწავლე...

— არა, ტყუილია, იქნებ წაიკითხე, მაგრამ ზეპირად არ  
გეცოდინება! — შეაწყვეტინეს ბავშვებმა სიტყვა.

— უური მიგდეთ, ზეპირად გეტყვით:

„სად არიან, სად გაფრინდენ  
ფრინველები, რომ არ ჩანან!  
წვიმს, აცივდა, ატალახდა  
შუკები და სოფლის შარა.  
და ეზოში დიდი მუხა  
საცოდავად დგას და ტირის,  
დიდმა ნაძვმაც მოიწყინა,  
არის უკვე ზამთრის პირი“.

ბავშვები ერთად აყიდნდენ და ლექსი შეაწყვეტინეს.

— მართლა უსწავლია, გვაჯობა! — გაისმა ყველაზე წინ  
თინას ხმა.

— ჩვენც ვისწავლით, — დაუმატეს ბავშვებმა დარცხვენით.

## 2

გაზაფხული დაიწყო.

მზიანი დღეებია.

ტფილისში გლეხები ადრე ჩამოსულიყვნენ. მათ გასაყიდად  
ჩამოეტანათ სოფლური ნაწარმოები. სკოლისაკენ ხტუნვით  
მიმავალ ბავშვებს მხოლოდ ხილეულობა აინტერესებდა.

სოფლელი დედაკაცები ისხდენ ქუჩის ნაპირებზე და წინ ელა-  
გათ ჩურჩხელები, ვაშლები და ზოგს კიდევ სხვა ხილეულობა.

— რომ ფული მქონდეს, ჩურჩხელას ვიყიდდი, — თქვა ლეილამ.



— მე სამი შაური მაქვს, მაგრამ რას მეყოფა, — უპასუხა თინაშე და სამ-სამი შაური ხომ ყველას გვექნება, — გაიმეორეს და მას უპასუხა ჩენებმა.

სკოლაში მათ იაფფასიანი ჩაი აქვთ მოწყობილი და ამიტომ მიაქვთ ხოლმე ცოტაოდენი ფული, რომ ჩაი დალიონ.

თინას, ლეიილას და სხვებს მართლა აქვთ სამ-სამი შაური. მაგრამ ყველა მათგანის სამ შაურს თავისი დანიშნულება აქვს. ისინი არ ხარჯავენ მას, მივლენ სკოლაში, იქ ჩაის დალევენ და მაშინ უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

ლეიილა ამაყად მოდის ამხანაგებს შორის.

მან გაჩმარჯვა, ამიტომაც ყველაზე უწინ მიირბინა სოფლელ დედაკაცთან, რომელსაც წინ ტომარა გაემალა და ზედ მსუბანი ჩურჩხელები ჩაემწერივებია.

— ბები, რა ლირს შენი ჩურჩხელა?

ხნიერმა დედაკაცმა ლეიილას რომ შეხედა, მერე წინ დაიხედა მან თავისი გამხმარი, ლამაზი და მსუბანი ჩურჩხელები აქეთიქით გადააწყ-გადმოაწყო, რომ ბავშვების უფრადლება კიდევ უფრო მიექცია, ბოლოს შეხედა პატარა გოგოს და ნაძალადევი ღიმილით უპასუხა:

— მანეთი, შვილო!

ბავშვებმა ჯერ ერთიმეორეს შეხედეს და შემდევ ლეიილა ისევ დედაკაცს მიუბრუხდა.

— ბები, ძეირად აფასებ, — უკანასკნელად უპასუხა ლეიილამ და გზა განაგრძეს.

— გოგო, რომ ევაჭრები, ფული საღებაქვს? — შეეკითხა თრნა.

ლეიილამ გაიციხა.

— შევაგროვოთ ჩვენი სამ-სამი შაური და მანეთზე მეტი გამოვა.

— არა, არა, ჩემო დაო. ჩემი სამი შაურით სკოლაში ჩაი უნდა დავლიოა. — უპასუხა თინამ.

ლეიილაც დაეთანხმა.

მათ ისევ სიცილით და ყიქინით განაგრძეს გზა.



თხსართულიან სახლების ძირში ც დასამსხვედვმზე შეასრულა  
დედაკაცები და თანაც წინ ხილტულობა უწყვიათ. პატარა ჭავჭავაშვილი  
ბმა, სკოლისაკენ რომ იჩქარიან, იციან, ვერაფერს იყიდიან,  
მაგრამ დედაკაცებს მაინც აფასებინებენ, მერე ატებენ სიცილს  
და გაიქცევიან.

დედაკაცები ჯავრობენ.

— უი, ქა, რა მოუსვენარი ბავშვები იზრდებიან, — გადა-  
ულაპარაკა ერთმა დედაკაცმა გვერდში მჯდომს.

— ასევა ბავშვობა, მა რა გვინია, — უპასუხა მეორემ.

— ეჭ, შე ქალო, ერთი ჩენი ბავშვობაც გავიხსენოთ. დიდები  
რომ ვართ, მიტომ აღარ მოგწონს, თორემა...

გამოელაპარაკა მათ მესამე.

ამ სიტყვების შემდეგ მოაგონდათ თავიანთი ბავშვობა და  
სიცოცხლით აღსავს ბავშვებზე ლაპარაკს თავი მიანებეს.

მათ ისევ თავიანთ პატარა სავაჭროს მიხედეს. ჩურჩხელები  
ისევ მხრუნველობით გადააწყვ-გადმოაწყვეს აქეთ-იქით და ყვე-  
ლა გამვლელ-გამომვლელს შესცეკროდენ თვალებში, რომ იქნე-  
ბა ფასი ეკითხა ვინმეს. მაგრამ ყველანი თავიანთ სამუშაოსკენ  
იჩქარიან და დედაკაცებს ყურადღებას არ აქცევენ.

### 3

ერთ-ერთი განიერი ქუჩა ორ შტოდ იყოფა. ეს ქუჩები, გრძე-  
ლი და განიერი, მეტად ლამაზად გამოიყურება ლამაზად აწვ-  
ლილ ვეებერთელა სახლებს შორის. იმ ადგილს, სადაც ის ქუჩა  
იყოფა, საქმაოდ მოზღიული მოედანია დატოვებული.

მოედანი დილაადრიანად ხალხით გაქედილიყო. უმეტესობა  
სოფლიდან ჩამოსული გლეხობა იყო.

ისინი დებოდენ ფეხის თითებზე, კისრებს იგრძელებდენ, თა-  
ვებს მაღლა წევდენ და იმ პატარა წრისკენ იხედებოდენ, ხალ-  
ხის შუაგულში რომ იყო, რომელშიც ერთი ახალგაზრდა  
იდგა.

ბავშვებმა დაინახეს თუ არა მოგროვილი ხალხი, თითონაც  
დაინტერესდენ და მათთან მიირბინეს, მაგრამ ვერაფერს შეხე-  
დეს, ამიტომაც მონახეს მაღალი ადგილები და იქ მოთავსდენ.

თინასა და ლეილას სკოლაში დაგვიანების ეშინიათ.

— წავიდეთ, ლეილა, წავიდეთ! — მიმართა თონამ.

— მოიცადე, გოგო, ვუყუროთ, — უპასუხა ლეილამ და მე-  
ტად დაინტერესებული იცემობოდა წრისაკენ.

— გოგო, ვიღაც ფოკუსიკია, მოვეშვათ, თორემ სკოლაში  
დაგვაგვიანებს მაგის ცქერა.



— მართალი ხარ, თინა, მართალი. მერქ, ხომ იცი, დავვის  
ნებულებს ზარმაცებს ეძახიან, — გააწყვეტინა სიტყვა ლიტერატურის  
ისინი მაშინვე ჩამოხტენ მაღლობიდან და სკოლისაკენ შო-  
კურცხლეს,

სკოლის ეზოში უამრავი მოწაფე იყო მოგროვილი. ისინი  
ზარის ხმას ელოდენ.

თინა და ლეილა ამდენ მოწაფეებში სირბილით შეიქრენ. მათ  
პატარა მკერდში გულები მოუსვენრად ფართხალებდა.

ისინი დაღლილი მივიდენ ამხანაგებთან და თან იცინოდენ.  
ამხანაგები გაკვირვებული სახით შემოგხვივნენ ირგვლივ  
და ახლადმოსული გოგონები კითხვებით ავსეს.

— რად იცინი, თინა?

— ლეილა, რად იცინი? — ეკითხებოდენ ამხანაგები.

— სკოლაში მოგრძოდით და სირბილში ერთმანეთს ვეჯიბ-  
რებოდით, აი რატომ ვიცინით, — თქვა ლეილამ.

ზარის წერიალი გაისმა, და ბავშვებმა თავის ადგილებს მი-  
აშურეს.

ლავრენტი ჭიჭინაძე.



დილით, როცა მზემ სხივებით  
ჩამობანა ლრუბლებს პირი,  
დედამ ნონა გააღვიძა,  
შეუსრულა დანაპირი.

უთხრა: „ადქ, ტანთ ჩაიცი,  
გამოცოცხლდი, ძილი კმარა,  
თუ კი მოხვალ დღეს მინდორში,  
მოემზადე, ცელქო, ჩქარა!“

ნონაც ახტა, ტანთ ჩაიცი,  
დედას გაპყვა სიხარულით,  
კოლექტიველ სხვა ქალებთან  
მიღის მინდვრად სიყვარულით.

პა, მინდორიც, ნელი სიო  
აქ აღლოვებს მწვანე ყანას,  
სად მწყერები დაგოგავენ,  
უმღერიან ჯეჯილს ნანას.

ყანას ხალისით მოედვენ  
ბრიგადები დარაზმული,  
აცილებენ მწვანე ბალას,  
და შრომა, ში ხარობს გული.

ნონაც შრომობს, არ ჩერდება,  
თითქოს იყოს დიდი ქალი,  
და მალიმალ მუშებისთვის  
მოაქვს წყაროს ცივი წყალი.

ზოგჯერ პეპლებს ეპარება,  
როცა დამჯდარს დაიგულებს,  
ხან ათასფერ ყვავილებით  
კონავს კოხტა თაიგულებს.

#### 6. შველიძე.



# მამუქას

## ცყუიდები

ბაბუა მამუქას ყველა იცნობდა ჩვენს სოფელში, ასე გასინჯეთ, ძაღლებიც კი. მეზობლებში სიარული უყვარდა, განაკუთრებით სადილობის ხანს. როდესაც რომელიმე ეზოში დინჯად შეაბიჯებდა და ეზოს ნაგაზი უცნობ დაუარტიებელ სტუმრისაჟენ ღრენით გაქანდებოდა, ის ოდნავადაც არ შეკრთხებოდა, ერთხელაც არ მოუქნევდა ძაღლს თავის განუყრელ თანამგზავრს — ბლის ჯობს, რადგან იცოდა, რომ ქოფაკი მოახლოვების უძალვე უკან გაბრუნდებოდა და წიმურუნითა და კუდის ქნევით ამცნობდა პატრონს: — აბა, ახალი ამბების მოსასმენად მოემზადეთ, მამუქა მოდისო.

ახირებული კაცი იყო ბაბუა მამუქა: მთელი ზაფხული თეთრი პერანგისამარა დადიოდა გულგადაღელილი. თავზე ნაკრის ფარატინა ჭული ეხურა მზის საჩრდილებელად. მკერდზე ფართოდ დაყრილი წვერი ძლიერ ამშვენებდა მის ღაერდა სახეს. გაცინებისას კბილებს წვერ-ულვაში უფარავდა და მხოლოდ თვალებში შეატყობდით, რომ იცინოდა.

ერთი პატარა ქოხი ედგა სოფლის თავში, განმარტოებით  
და შიგ ორნი ცხოვრობდნენ: ის და ბუზარა. ბუზარა ისე მაღალი იყო, რომ პატრონის გარდა ეზოში ფრინველსაც კი არ  
გააქვანებდა. მამუკას, როგორც გამოცდილ მებაღურს, გავარ-  
დნილი ჰქონდა სახელი ახლომახლო სოფლებში. როდესაც  
რომელიმე მეზობელს სტუმარი ეწვეოდა, სასწრაფოდ აფრენდა  
ბავშვს მამუკასთან და დაბარებდა:

— დედამ შემოგითვალა, სტუმარი მეწვია და, ჩემთ მამუკა,  
წეხანდელი დაქერილი თევზი გექნება, გამომიგზავნე და რაც  
გინდა გადამახდევინეთქო.


მამუკას თევზი მუდამ ჰქონდა ასეთი მეზობლებისათვის,  
5—6 ლერ მოუხარშავ წვერა თევზს დააწყობდა თეუშე და  
გაუგზავნიდა უსასყიდლოდ.

— წერდე, ფულს რავა გამოვართმევ, შენგან მაინც პატივ-  
ნაცემი ვართქო, — დააბარებდა, და ბავშვიც გარბოდა სიხარუ-  
ლით, სამაგიეროდ მამუკა 5-6-ჯერ მაინც ისადილებდა ამ პა-  
ტივნაცემ მეზობელთან.

თევზაობა უფრო დამღამბით უყვარდა: როდესაც მოწმენ-  
დილ ცახე სავსე მთვარე მოცურავდა, ის სათევზე კალათს  
დაიკიდებდა, აიკრეფდა ხელში ბადეს და ჩუმად ჩაივლიდა სო-  
ფელზე. მდინარე ძირულა, რომლის ხშირი სტუმარიც მამუკა  
იყო ხოლმე, ჩვენს სოფელს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩაუდის.  
ამ მდინარის ბუტბუტსა

და თევზის დაჭერის სურ-  
ვილს ხშირად მამუკა ისე  
გაუტაცია, რომ საღამოს  
წისული შინ მხოლოდ  
შზის ამოსვლისას დაბრუ-  
ნებულა. ჩვეულებრივ კი  
განთიადზე ბრუნდებოდა,  
მაგრამ ისეთი შემთხვევა  
არასოდეს არ ყოფილა,  
რომ კალათი ნახევრაშდის  
მოყრილი მაინც არ მო-  
ეტანოს.

სადილობაშდის ოთახ-  
ში ტრიალებდა: ხან ბა-  
დეს კერავდა, ხან ბადს  
ბარავდა, ასუფთავებდა  
და ხან ტანხაცმელს ირე-



ცხდა. სადილობისას კი სოფელს დაჰყვებოდა და თითქმის ყველა მეზობლებს ინახულებდა.



## 2.

მე ძლიერ მიყვარდა ბაბუა მამუკა, ნამეტურ იმიტომ, რომ გასაოცარი ამბების მოყოლა იცოდა თავისი ცხოვრებიდან. იმ დღესაც (აღარ მახსოვეს, რა დღე იყო) სწორედ სადილობის დროს შემოვეიარა, მაგრამ რადგან სადილი დავასწარით, ამიტომ ბებია ასინეთმა მოსვლის უმაღლვე მიაძახა:

— ბიქო, მამუკა, შენ არც სიმამრი გყოლია და არც სიდედრი! რაღა სწორედ სადილის გათავებისას მოხვედი.

— აბა! — განცვილებით წამოიძახა მამუკამ ისეთნაირად, რომ ჩვენ ყველას სიცილი აგვივარდა.

— არა, მე ისე შემოვეიარე... ეს ბოვშვები მიყვარან და ვიფიქრე, ვუამბობ რასმე მეთქი.

— გვიამბე, ბაბუა, გვიამბე! თევზის ანგელოზის შესახებ გვიამბე, — შევეცვეწეო მე და ჩემი პატარა და.

— ჰო და ის მინდოდა მეთქვა, — დაიწყო მან ათჯერ მოყოლილი ამბავი, რომ ყველა ცხოველს თავისი ანგელოზი და ეშმაკი ჰყავს. თევზისაც, რა თქმა უნდა. აგერ ოცი წელია ვბადეობ, ამ ჩემ დასივებულ უქებს ხომ უყურებთ?! წყალი ამ საქმეს კიდევ ვერ მიზანდა, რომ ეშმაკები არ მყავდენ გადაკიდებული. თევზს რომ ვეღარ მაცლიან ხელიდან, ახლა გადაწყვიტეს ავაღმყოფობით დამრიონ ხელი, მარა ვერ მივართუ ჯერჯერობით. ვენაცვალე ანგელოზებს, თუ იმათ მოასწრეს წყალზე გადაფარება, დაადგეტ და ხევტები, მამუკა!

— გინახავს, ბაბუა, ეშმაკი?! — ვკითხე მე გაევირვებით.

— ბიქოს, რავა არ მინახავს! — ისეთი დაბეჯითებით წარმოთქვა, თითქო მართლა ენახა და მასთან ერთი კვირა ექეითა.

— რავა არ მინახავს! ერთხელ, ბადე რომ გადავაგდე, შევხედე და რაღაც შავად ზედ ამოეფარა ნისლივით. გამოვწიო ბადეს და ერთი ლიფსიტაც კი არ გამოპყა. დამნავსა, იმ ღამეს აღარაფერი დამიჭერია.

ასე, ბაბულიებო, ახლა ეს იყოფინეთ და ხვალ კიდევ უკეთესს გიამბობთ, — დაათავა დინჯად, ხელში წასაბიჯი აიღო, ბებია ასინეთს მშეიდობით ყოფნა უსურვა და ქიშკრისაკენ გასწია.

ხშირი იყო ხოლმე ასეთი დაუები. ჩვენ, ბავშვები, დარწმუნებული ვიყავით ეშმაკებისა და ანგელოზების არსებობაში და გულით გვინდოდა. გვენახა ისინი.

მაისის დროა, როცა თევზი იწყებს გამრავლებას: მონახავს  
გაშლილ ფონს, სადაც რიყე და ქვიშაა, და იქ ყრის ქვიშის გამრავლებას:  
ამ დროს სწორედ ერთ ადგილას იმდენი თევზი იყრის თავს,  
რომ ხელითაც კი შეიძლება მისი დაქერა. იმერეთში ამას „თევ-  
ზის ტობვას“ ეძახია. ტობვა რომ დაიწყებოდა, მთელი სოფე-  
ლი გაძლებოდა ხოლმე თევზით.

ჩვენი სოფლის ბოლოზე ერთი კარგი სატობავი ადგილი  
იყო, რომელიც სოფლის საკუთრებას შეაღევნდა. ამ ადგილს,  
„ნაწისქვილარს“ ეძახდენ. ყველას ჰქონდა უფლება იქ დაქერი-  
ლი თევზიდან წილი მიელო, ვინც კი დაქერას დაესწრებოდა.  
მებადურებს გული მოსდიოდათ, რადგან, წესის თანახმად, იძუ-  
ლებული იყვნენ, სატობავზე ბადით დაქერილი თევზი უბადუ-  
რებისათვისაც გაეზიარებიათ. ტობი ლამლამობით უკრი ბევრი  
მოდიოდა, და ხალხიც მთელი ლამე იქვე, სატობავის ახლოს  
ისხდა და ელოდებოდა.

ერთ სალამოს მამა გვიან დაბრუნდა ვენახიდან. თოხი მარან-  
ში შეიტანა და დედაქემს დაუძახა:

— ერთი პატარა ხელკალათა გამეიტანე, ამალამ სატობავზე  
უნდა წავიდე.



- სატობავის გაგონებაზე მე ყური ვცეკვიტე.
- მეც წამიყვანე, მამილო, გენაცვალე! — უთხარი და მოქალაქე ლებზე მოვეცვი.
- რო დაგეძინოს ცივ რიყეზე და გაცივდე?
- არა, არა, მამიკო, არ დავიძინებ, მეც უნდა დავიჭირო თვეზი, წამიყვანე!
- კაცო, ბოვში არ გამიცივო! — მოგვაძახა დედამ, როცა ჩვენ ის იყო კიშკარში გამოვდიოდით.

#### 4

მთვარიანი ღამე იყო. სატობავზე ცხრაოდე კაცს მოყვარა თავი. ზოგი პაპიროსს წევდა, ზოგიც მხართეძოზე წამოწოლილ მამუკას შემოსეოდა გარშემო და მის საგმირო ამბავს ისმენდა.

— პო და, ის მინდოდა მეთქვა, ერთხელ, გათვენების ხანს, სწორედ ამ ადგილას ვისროლე ბადე. ვისროლე თუ არა, გაღმით სილაზე რაღაცამ გაელვა. გავისედე და რას ვხედავ: ანგელოზებს დილიქანი გაუბამთ და დააჭინებენ. თან რაღაცას გაურკვევლად ყვირიან. ეს კი კარგად გავიცონე: მოსწი ბადეს, მამუკა, მოსწი, შენიაო. გამოვწიო და რას ვხედავ: ბადე გატენილია თვეზით. გავავს კალათა და აღარც მისვრია მეტი, სახლისა ენ გავსწიო. ანგელოზებიც გაქრებ.

— კარგია, მამუკა, მოიცა, ტყუილებით ნუ გამოვგიჭედე ყურები, ბოვში არ დამიფეთო, — უთხრა მამაჩემმა სიცილით.

— აგვეკიდა, აგვეკიდა გუდით ამდენი ტყუილი, — ყრუდ ჩაილაპარა ვიღაცა.

— რა ვიცი, კაცო, დამღამობით მე ქე დავდივარ, მარა რა-და მე არ შემხვდა ეს ოხრები, — დაუმატა სერაფიონმა და კისერი მოიქექა.

— მე ქე გითხარით და თუ არ დამიჯერებთ, თქვენ კარგად იყავით, — წყენით თქვა მამუკამ და ცერზე ყალიონი დაიბერტყა.

— ერთი დაეხედო სატობავს, თვეზი ხომ არ მოსულა, — დაუმატა და წყლისაკენ გაემართა. უკანვე რომ მოღილდა, მთვარის შექზე მართლა ისეთი შეხედულება ჰქონდა, რომ მე ის ეშმაკი მეგონა, რომლის შესახებ თითონ უამბია ხოლმე. ცოტა არ იყოს შიშნარევი მამაჩემს ჩავუჯექი კალთაში.

— ამაღამ თვეზის სინსილა არ მოვა, წყალს ეშმაკი დაპატ-რონებია, — დარწმუნებით გვითხრა მამუკამ და ბადეს ხელი წა-მოავლო.

— მოიცა, კაცო, სახლში რა მიგაჩეარებს? პატარა ხანს ვუყუროთ და თუ არ მოვა, მერე წავიდეთ, — უთხრეს აქეთ-იქიდან, და მამუკაც დაჯდა.

მის სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, რომ იმ ღამეს მისი სიცდუმლობა არ გამდავნებულიყო: „სატობავზე, ალბათ, შემსრულებელი და თვეზებს აღარ უშვებს“ — გაიფიქრა მარტუკამ, როცა წელან წყლიდან უკან მოდიოდა. „მაცათ, ვერც ახლა დაგარწმუნებთ რომ წყალზე ეშმაკია? — ამბობდა გულში და ფიქრობდა ბადეში გველი არ მოყოლებია, ცოტა ხნის შემდეგ რომ ისროდენ.

ხუთი წუთის შემდეგ მამუკამ და სერაფიონმა ბადეები აიკრიფეს ხელში: „რაც იყოს, ვესროლოთ“. ჩვენც ხელებდაკაპიტებული მივყვეთ უკან. წყლის ნაპირას რომ მივედით, მამუკამ გაურკვეველი პუტუნი დაიწყო:

- ჟე... პაპაშა, პაპა! წადი აქედან... წადი!
- ვის ელაპარაკები, მამუკა?
- რავა, თქვენ ვერაფერს ხედავთ ახლა? — იკითხა გაოცებით.
- ვერაფერს. რა არის?
- რა და აი წყალზე რაღაც შავად ნისლივით რომაა გადაფარებული.

ეტყობოდა, ბაბუა მამუკა ცრუობდა: წყალზე არაფერი არ იყო გადაფარებული. მოვარის შექზე შეხეტები ოქროსფრად ბზინავდა. ბადე ესროლეს და დანარჩენებიც ფონში ჩაცვივდენ. მეც მამაჩემს მივყვეი. ფეხზე ერთი ლიფსიტა გამეხახუნა და ისიც გამექცა.

ბაბუა მამუკა მოტყუვდა: თუმცა ბადე შორს ისროლა, მაგრამ გველი სწორედ მის ბადეში მოექცა.

— არიქა, მიშველეთ, ქვები! — დაიყვირა და ყველანი ბადეს გარს შემოეხვიენ და ნახეს, შიგ უშველებელი გველი იხლახნებოდა. ქვები დასცხეს და იქვე მოკლეს. მამუკას კი ტყუილებისათვის სიცილი დაყარეს:

— ხა-ხა-ხა! ეგ არის, მამუკა, შენი ეშმაკები და ანგელოზები, თვეზეს რომ გვიფრთხობდა? — ეკითხებოდენ აქეთ-იქიდან, და მამუკაც მტყუანივით იდგა და თითქოს ელოდა, ახლა კალვარიას მეტყვიანო.

## 5

ერთი საათის შემდეგ ბადეები ხელახლა ისროლეს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თვეზებმა ფონში მხაფუნი ატეხეს. ზოგი მათგანი ისეთი დიდი იყო, რომ კინძლაშ ბარის ცა გაიხა. ხელითაც ბევრი დაიჭირეს. მე კი ვერცერთს ვერ მოვასწარი ხელი. ბადეები გატენილი გამოიტანეს ნაპირზე. თვეზები გაყვეს და წილი მეც მარგეს.

მე და მამა განთიადზე მივედით შინ, თევზით საესე წელი -  
ლუათით. სიხარულით იმ ღამის უძილობა არც კი შემიჩნევის  
რომ დავწექი, სულ თევზებზე და ბაბუა მამუკაზე ვფიქრობდი.  
„რა მატყუარა კაცი ყოფილა ბაბუა მამუკა! აწი აღარცერთ  
ზღაპარს აღარ დაუჯერებ“.

გიორგი კალანდაძე.



ამასწინათ, როცა კარლო  
სახლში დარჩა მარტოდმარტო,  
გადაწყვიტა გააკეთოს  
თვითმავალი კოსტა ავტო!

მოიფიქრა გეგმა ზუსტად  
და შეუდგა მძიმე შრომას,  
გულში ფიქრობს: „ეს სჯობია  
ცელქობას და თამაშობას.

გავაკეთებ ავტოს ისეთს,  
გავაკვირვებ რაზმში ყველას!  
იმედი მაქს, გარჯის შემდეგ  
მოვიბოვებ გამარჯვებას.

თუმცა დიდი საქმე არის  
გააკეთო კაცმა ავტო,  
ამავე დროს ჩეკულებრივ  
არც სხვა საქმეს უღალატო.  
ლაპარაკი და ოცნება  
ადვილია ბევრად უფრო,  
ვიღრე ის, რომ ბრძოლა-შრომით  
რთულ ტექნიკას დაეუფლო!“



ამ განზრახვით ჩვენი კარლო  
ახაძია მიზანს ებრძვის,  
დაამზადა ნაწილები:  
თვლები, საჭე, მუხრუჭ-ლერძი.

ძრავი არის ახლა საქმე,  
ღანარჩენი სულ მზად არი,  
რომ დაიძრას, აგუგუნდეს  
ჩვენი კარლოს თვითმავალი.

ჲ, ძრავიც ხომ დაასრულა,  
გამოაწყო თავის რიგზე,  
დაქოქა და რასა ხედავს:  
აგუგუნდა ავტო მყისვე!

ამ ამბავშა მეგობრებში  
გააკირვა თითქმის ყველა,  
ვინ იტყოდა, მას შესძლებდა  
პიონერი თითის ხელა!



ხალა კარლოს კოლექტივში  
ამ საქმეში არ ჰყავს ტოლი,  
ამიტომაც მას ვუწოდეთ  
ჩვენი რაზმის ედისონი!

ალ. ბილანიშვილი.

## ა ლ ე კ ო

ხვალ პირველი მაისია.

შინ ფუსტუსია, ყველა საზეიმოდ ემზადება, აივანზე ნოხებს  
და წითელ დროშებს კიდებენ.

ბეჭიამ ახალი სამოსი დაწყო სარეცელთან.

— რად მინდა? ყველა მხიარულია, მე კი... — ფიქრობს ალეკო.

დედა სალამოს საზეიმო კრებიდან მხიარული დაბრუნდა.  
ის მოეხვია ალეკოს და მიახარა:

— დამკვრელი ვარ, დამაჯილდოვეს. შენ, ჩემო ბიჭიკო, რით  
მახარებ, ფრიადი რამდენი გაქვს?

ალეკო საბანში გაეხვია. დედა მიუხედა და გასცილდა. ცო-  
ტა დაგვინებით მამაც მოვიდა.

— სონა, მომებმარე, საზეიმო ტანისამოსი დამიმზადე, ხვალ  
ც საათზე გავალოთ ქალაქში, — მიმართა ცოლს.

დედ-მამამ საზეიმო ტანისამოსი მოიმზადა.

— სონა, ალეკოს საქმეები როგორაა? რად არ უწყვია იქ-  
ტომბრელის ტანისამოსი? მაგრამ შარშანდელი გამეორდა, ჰო?

დედა დუმდა.

დღეს დიდებას გამოუცხადეს, რომ ალექს სასწავლებლი-  
დან გაიტანულია.

ახლა ალექს უკვე მიხვდა, თუ როგორ უშხამაც წაჟიგიში  
მხიარულებას მშობლებს.

„ახია ჩემზე“ — ფიქრობს ალექს.

„ვინ იცის, რას ფიქრობდა მამა, მე კი...“

წამდაუწუმ ეყითხებოდა თავის თავს უხმოდ ალექს.

დალლილი მშობლები მოსვენებას მიეცნ.

ჩამინა ალექსაც.

ოთახში დილით ადრე შემოიქრა ავტომობილის ხმა, ამას-  
თან ერთად ოთარიკოს ლაპარაკიც გაისხა.

ალექს შეიშუშნა. ავტ-ავტ ოთარიკოს მამა სოსოც გა-  
მოჩნდა.

— შალვა, გააღვიძე ალექსოც, წავიყენოთ. ჩემი ითარიკო  
სამაგალითო ოქტომბრელია, ფრიადნე სწავლობს, ადრე დედა  
და შასწავლებლებიც აქებენ. ახლა დებომსტრაციაზე მიღის.

— ალექს, წამოხტი! — შესძიხა სოსოც.

— ალექსომ ტირილი დაიწყო. ის მიხვდა თავის დანაშაულს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ალექს ჩატული იყო და თავჩა-  
ლუნული იდგა.

ალექს, რა გატირებს? — შეეკითხა მამა.

— მამა, მე ვერ გაგიმართლე იმედი, დამნაშავე ვარ. აღარ  
ვიზამ...

\* \* \*

გათავდა პირველი მაისის ზეიმი.

ალექს აღფრთვანებულია. მან ბევრი რამნაბა: მუშა-მოსამ-  
სახურები, წითელარმიელნი, მეზღვაურნი, მფრინავები... ლამაზად  
მოდიოდენ ფიზულტუროსნები.

ალექს მივიდა საწერ მაგიდასთან და დაწერა:

„დღეს პირველი მაისია...“ ის უცებ შეხერდა, მას მოაგონ-  
და ერთი ორატორის სიტყვა, და კიდევ სხვა ბევრი რამ, მერქ  
ისევ წერა განაგრძო.

„ამ დიადი დღესასწაულის აღსანიშნავად ვდებ ხელშეკრუ-  
ლებას: დილით ყოველთვის ადრე ავდგები, სასწავლებელში  
ამ დავიგვიანებ, გაკცეთილის დროს ვიწები ყურადღებით, ამხა-  
ნაგებში ვიქნები ზოდილობიანი, ქუჩაში ვივლი ისე, როგორც  
გვასწავლა მილიციდან მოსულმა ძიამ. ვიმუშავებ აქტომბრელ-  
თა კოლექტიუმი და შევასურულებ ყველა ვალდებულებას. შინ  
მოსელისას დავიბან ხელებს, ვისადილებ და შევუდგები მეცა-  
დინებას.

ვისწავლი კარგად და გავახარებ მშობლებს.  
ალექს.“

თ. მოდებაძე.


# კირვეები მასში.



წითელ დროშით  
აგუად, ერთად  
დადის მწყობრი  
პიონერთა;  
უცელენგან  
შვება-ხალისია:  
დღეს პირველი  
მაისია!

ხალხი მღერის:  
— გაუმარჯოს  
წითელ დროშის  
მაღლა ფრიალს,  
გაუმარჯოს  
ჩვენი ქვეყნის  
აუცავებულ  
ინდუსტრიას!

ლადო გიგეჟორი.



# ვასკა — ავიატორი



გაზაფხული იყო.

კოლმეურნეები ხენისთვის ემზადებოდენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე პეტრესთან მივიღა მოხუცი არხიპი და წყნარად უთხრა:

— მოდი და ხელით დავთესოთ პური, ორმოც წელიწადია ხელით ვთესავ და ახლა აეროპლანით თესვა გამოიგონეთ... ვინ იცის, რანაირად დათესავს აეროპლანი...

პეტრემ გაიღიმა და უთხრა:

— არაფერია, არხიპ, აეროპლანი გაჯობებს, დამიჯერე.

მერე მიუბრუნდა იქვე მდგომ ორ ბიჭს და უთხრა:

— ვასკა და სანჯა, კოლმეურნეობამ თქვენ დაგნიშნათ მესივნალეებად. წითელ ალამს დაიჭირო ხელში და დადგებით ჩვენი ყანის ორივე ნაპირას, ერთმანეთის პირდაპიო.

— რატომ? — იკითხა ვასკამ.



— რატომ და ევიტორი რომ დაინახავს თქვენ წითელ  
ალმებს, მიხვდება — აი ამ ალმებს შუა არის ის ყანა, რომელმც კონკრეტული  
უნდა მე დავთვესომ.

— კარგი, კარგი! — დაიძახეს ბავშვებმა, დაავლეს ხელი თი-  
თო-თითო ალამს და გაიქცეს...

დგანან ბავშვები თავ-თავის ადგილას, მაღლა უჭირავთ წი-  
თელი ალამი, აეროპლანი კი არა ჩანს.

დაიღალა ვასია, დაუშვა ალამი.

ამ დროს მოისმა რაღაც ბზუილი და მალე გამოჩნდა შორს,  
ცის სიერცეში, აეროპლანი, რომელიც თანდათან დიდდებოდა,  
და მასთან ერთად დიდდებოდა მოტორის ხმაურობაც.

აეროპლანი მალე გაუსწორდა კოლმეურნეობის ყანას, და  
ვასიამ იგრძნო, რომ ციდან რაღაც ცვივოდა. აი, მას დაეცა  
თავზე, ცხვირზე, პირშიც კი ჩაუვარდა.

— ხორბალი! — დაიყვირა ვასკამ. — თესავს, თესავს!

მარტლაც, აეროპლანი სწრაფად თესავდა, და ბავშვების სი-  
ხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ცოტა ხნის შემდეგ აეროპლანმა რაღაც ფურცლები გადმო-  
ყარა. გამოიქცენ დიდები, პატარები, რომ ენახათ, თუ რა ეწე-  
რა შიგ.

— ევიტია ეხმარება სასოფლო მეურნეობას, — წაიკითხა  
ვასიამ ხმამაღლა...

\* \*

მშვენიერი დილაა. ვასიამ სიზმარში უკვე იფრინა, ახლა კი  
თვალებს ისრესდა ახლადგამოლვიძებული და საშინლად ნაწყენი  
იყო, რომ ეს მხოლოდ სიზმარი ყოფილა.

ომ, რა კარგი იყო აეროპლანით სეირნობა!

ახლა კი... ზის ლოგინში და გაბუტული მისჩერებია ლურჯ  
ცას. შორს მოჩანს ვერცხლის ლენტივით გაქიმული მდინარე, მდინარის იქით კი ის არის, ის დიდი ფრინველი, რომელიც  
ამაყად დაფრინავს ცაში...

დილის გრილმა ნიავმა სავსებით გამოაფხიზლა ვასკა.

ჩიტების ეღლურტული იკლებდა არემარეს...

ბეღლურები შეშლილებივით დახტოდენ ქულოპინით...

— არა, უეპველად უნდა გავფრინდე, უნდა გავფრინდე! —  
მტეკიცედ თქვა ვასკამ და საჩქაროდ ჩაიცვა. ამ დროს სანკამ  
შემოაღო კარი.

— წამო, ვითამაშოთ.

— არ მცალია მე სათამაშოდ, უნდა გავფრინდე...



— რაო, რაო?

— რაო და უნდა გაეფრინდე!

სანქამ გადიხარხარა და კარში გავარდა, რომ დანარჩენი ბავ-  
შვებისათვის ეთქვა ჩოფურა ვასკას ამბავი.

— ბავშვებმა, ჩოფურა მიფრინავს! — მოისმა ეზოდან სანქას  
ხმა, გაბრაზებული ვასკა კი ფანჯარაში გადახტა და სირბილით  
გაეშურა მღინარისა კენ.

ბავშვებმა დაინახეს ის და ჟივილ-ხივილი ატეხეს:

— ეი, ჩოფურა მიფრინავს!

— მიფრინავს!

— მიფრინავს!

— ჩოფურ, არ გაფრინდე, ბებიაშენი ნუ მოგიკვდება...  
ვასკას კი არაფერი ესმის. ის მირბის მდინარისაკენ... გადავარდები  
მეორე ნაპირას, შეეხვეწება ავიატორს, იფრენს, უქველად ჰქონდიოთავა  
რენს... სანკას და სხვა ბავშვების ჯიბრზე მაინც... აბა მაშინაც  
გაბედონ და კიდევ დაუძახონ „ჩოფურა“! აეროპლანიდან გად-  
მოჰყვირებს სანკას „სანკა ყიყლიყო“ და ენასაც გამოუყოფს!  
მაშ!

მირბის, მირბის ვასკა საოცნებო ფრინველისკენ..

\* \*

— ბიძია, შენ დათესე ჩვენი ყანა?

— ჰო, მე დავთესე.

— ჰოდა ალამს რომ გიქნევდი, ის მე ვიყავი! — უთხრა ავია-  
ტორს ისეთი ხმით, თითქოს ეუბნებოდა:

— ხომ ხედავ, რა ყოჩალი ვარო!

ავიატორმა თავზე გადასვა ხელი.

— ჰოდა ეს ვერ გავიგე მე: ხორბალი საიდან ცვივა, გატე-  
ხილია შენი აეროპლანი?

ავიატორმა გადაიხარხარა და აჩვენა ის მილი, საიდანაც  
ცვივა ხორბალი აეროპლანიდან.

— ბიძია, ეს ადგილი ვიღასია? შენ დაგუავს ვინმე? — ფრთხი-  
ლად ჰქითხა ვასიამ და ცალი თვალით გადახედა დასაჯდომ  
ადგილს.

— ჰო, თუ მძიმე კაცი არ არის, ხანდახან დამყავს კიდეც.

— იცი, ბიძია, სუჟელა ბიქს უკვირს ჩვენს სოფელში, ისე  
მსუბუქი ვარ მე. ძალიან, ძალიან მსუბუქი ვარ! წმინდა წონა  
ფუთნახვარიც არ არის, ერთი კილო მაკლია...


— ხა-ხა-ხა-ხა! — ვერ შეიკავა თავი ავიატორმა, — მაშ შენი  
წმინდა წონა... ხა-ხა-ხა! ყოჩალ, ბიჭო, ყოჩალ!

მოიცა, ეს შენი ფეხსაცმელი...

— ფეხსაცმელს გა-  
ვინდი! — წამოიძახა ვა-  
სიამ და დადუმდა, და-  
დუმდა და ნალვლიანად  
ამოიოხხა.

ავიატორი აეროპ-  
ლანის ბინაში შევიდა.

არა, რანაირად და-  
ითანხმოს ავიატორი,  
რა ქნა?





„ვაიმე, ახლა კი წახდა ჩემი საქმე“ — გაუელვა ვასიას. „თავისი შეგობარი მოყავს“...

უხმოდ მოტრიალდა ვასია. თვალებზე ცრემლები მოადგა, თავს ძლიერ იქვებდა...

— სად მიღიხარ? უნდა ჩავსხდეთ.

ვასიამ უნდობლად შეხედა ავიატორს.

— მეგობარი? — თქვა მან, მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა და თვალის დახამხამებაში მივარდა აეროპლანთან.

ერთი წუთის შემდეგ ის ამაყად იჯდა მგზავრის აღვილზე, ლვედით მიმარტებული, და სასაცილოდ აფართხუნებდა ტყავის პალტოს გრძელ სახელოს. თვალებზე დიდი ამობურცული სათვალეები ჰქონდა.

საშინლად დაიღრიალა მოტორმა, და ვასიამ იგრძნო, რომ მინდორი ნელნელა ჭუან წავიდა. წამოიყვირა ვასიამ, მაგრამ თვითონაც ვეზე გაიგონა თავისი ხმა. სათამაშოებს დაემსგავსენ შენობები... აეროპლანი სულ მაღლა-მაღლა მიდიოდა.

აი, გამოჩენდა ვასიას სოფელიც. აეროპლანი დაბლა დაეშვა. კოლმეურნეები ჯგუფად იდგენ და ზევით იცქირებოდენ. აი სანკაც, ალამი უჭირავს.

• ფიქრობს ბიჭუნა, სანე მოღუშვია, რეინის ფრინ-  
ველს კი ფრთები გაუშლია და თავისკენ იწვევს მას: მოდი, ჩაჯექი, გაგაფრინოო!

— მიფრინავს, ჩოფურა მიფრინავს! — გაახსენდა მას ამხანაგების დამცინავი ყიუინა და აენთო...

— არა, უნდა გავფრინდე! მაგრამ როგორ?

ამ დროს ავიატორმა რალაც ტანისამოსი გამოიტანა. სათვალეებიც გაეკეთებია...

— ეს ტანისამოსი... ვის- თვისაა?

— ერთი მეგობარი მოდის ჩემთან, ძალიან შეუბუქია...

— სანქა! სანქა ყიყლიყო! — დაიყვირა ვასიამ, მაგრამ სანქას  
არ ესმოდა მისი ხმა.

აეროპლანი დაეშვა ვაკე ადგილას. რკინის ჩიტი გაფოგდა  
და გაჩერდა.

— გამარჯობათ, კოლმეურნებო! — დაიძახა ავიატორმა.  
— ხორბალი სულ გამოილია, ჩაყარეთ.

— ეს ვინდაა თქვენთან? — ჰეითხა მას სანქამ ფრთხილად.  
სანქას რაღაც ეცნაურებოდა დინჯად მჯდომი მგზავრი.

— ეს? ო, ეს ჩვენი უფროსია, — ჩურჩულით უპასუხა ავიატორმა. — ხედავ, სათვალეები აქვს.

„ეს მე ვარ!“ — უნდოდა დაეყვირა ვასიას, მაგრამ ამ დროს  
ყველამ არხიპისკეპ მოიხედა. ის ხელს ართმევდა ავიატორს და  
ღიმილით ეუბნებოდა:

— ბიძი, ორმოცი წელიწადია მე ხელით ვთესავდი, რას ვი-  
უიქრებდი, თუ აეროპლანით შეიძლებოდა ყანის დათვესა...  
ერთი ამისხენი, ბიძი, როგორ თესავს აეროპლანი.

— აი, ეს ამხანაგი აგიხსნისთ. ეგ სწორედ იმისთვის არის მოსუ-  
ლი, რომ ყველაფერი აგიხსნასთ.


მგზავრი ძლიერ გაღმობობდნდა და სათვალეები მოიხსნა.

— ვასე! — წამოიძახეს ბავშვებმა.

— ვასე ჩო... — უნდოდა სანქას დაეყვირა ჩოფურაო, მაგ-  
რამ ხმა ჩაუწყდა. ვასეა ჩოფურა აღარ არის, ვასეა ავიატორია...

— აი აქ ყრიან ხორბალი, ამას ჰქვია... — დაიწყო ვასეამ ახს-  
ნა... ყველა დინჯად უსმენდა მას. დღეიდან მოკვდა ვასეა-ჩოფუ-  
რა და დაიბადა ვასეა ავ-ატორი...

გადმოკ. შ. თაბუკაშვილის მიერ.



ამერიკელი ფაბრიკანტები ჯიმს უწოდებენ იმ ადამიანს,  
რომელსაც არ თვლიან ღირსად თავისი საკუთარი სახელი  
ატაროს.

„კროუ“ ამერიკულად ყვაეს ნიშნავს. „ჯიმ-კროუს“ ისინი  
უწოდებენ ყვავივით შავ მუშას — ზანგს.



პატარა ტომშა კარ-  
გად იცის, რასენიშვილ  
„ჯიმ-კროუ!“ გაძოვა  
თუ არა ტომი იმ შესა-  
ხვევიდან, სადაც მხო-  
ლოდ მუშა ზანგები  
ცხოვრობდნ, იმ ქუჩაში,  
სადაც ცხოვრობდნ და  
დადიან თეთრი ბატო-  
ნები, იმავე წუთში ყო-  
ველი მხრიდან შეძყვი-  
რებენ მას:

— ჯიმ-კროუ! შეხე-  
დეთ, ჯიმ-კროუ! გააგ-

დეთ აქედან! — და როგორც კატები, ისე მისდევენ მას პოლიცი-  
ელები რეზინის ჯოხებით.

ტომშა იცის, რომ მას არა აქვს უფლება ჩაჯდეს ტრამვაიშიუ,  
თუ შიგ თეთრები სხედან. არ შეუძლია წავიდეს კინოში, თ  
იქ თეთრები არიან, არ შეუძლია გაიაროს ტროტუარზე, რო-  
მელზედაც თეთრები დადიან. არ შეუძლია იმიტომ, რომ ის ზან-  
გია, ის ჯიმ-კროუა. მისი მამა მუშაა, მაგრამ არა ისეთი, რო-  
გორც ყველა სხედა. მას იძულებულს ხდიან შეასრულოს ყვე-  
ლაზე მძიმე, ყველაზე ჭუჭყიანი და ყველაზე იაფი სამუშაო.  
იმიტომ, რომ ისიც ჯიმ-კროუა.

ტომს სწავლა უნდა. სკოლაში რომ იაროს, როგორც ყვე-  
ლა ბავშვები დადიან — არ შეიძლება! იმ სკოლაში, სადაც  
თეთრი ბავშვები სწავლობდნ, მას არ მიიღებენ!

ზანგების სკოლა კი მეტისმეტად ცოტაა...

მაგრამ ერთ დღეს რაღაც საკვირველი, რაღაც გაუგონარი  
რამ მოხდა... დილით, ადგენ თუ არა, მამამ სადლესასწაულო ტან-  
საცმელი ჩაიცვა და უთხოა ტომს:

— ჩაიცვი შენი ახალი ტანისამისი. მე და შენ მეგობრებთან  
უნდა წავიდეთ. მათ თქვენთვის, ბავშვებისთვის, ძალიან კარგი  
რაღაც მოიგონეს.

„მეგობრების“ შესახებ ტომს მამისაგან არა ერთხელ მოუსმე-  
ნია, კიდევაც უნხახას ისინი.

ისინი მათთან შინ მიღიოდენ ხოლმე.

„მეგობრები“ ისეთივე თეთრები არიან, როგორიც ისინი,  
რომლებიც მას ჯიმ-კროუს ეძახიან და ნადირობდნ მასზე რე-  
ზინის ჯოხებით.



მაგრამ ეს თეთრები განსაკუთრებულები არიან. ისინი მათ  
სე ექცევიან როგორც თანასწორებს და ცდილობენ დატვირთოს  
რონ კიდეც. ტომის მამა მათ მუშათა კავშირში ჩაწერეს. პილიკოსები  
მამამ ტომს მოჰკიდა ხელი და ისინი სწრაფად წავიდენ.

— აი, ხედავ, — თქვა მამამ, — ჩვენ დავიგიანეთ. დღესასწაუ-  
ლი უკვე დაიწყო.

სინათლიან ფართო ოთახებში დარბოდენ და თამაშობდენ  
ბავშვები. აქ იყვნენ შავებიც, როგორიც ტომია, წითლებიც,  
ყვითლებიც, თეთრებიც...

ტომთან მივიდა მაღალი, მთლად თეთრი დეიდა, თმებიც  
კი თეთრი ჰქონდა მას.

— გამარჯობა! — უთხრა მან ტომს და აიყვანა ხელში. — რა  
გქვია?

— ჯიმი, — უპასუხა ტომმა შიშით.

— მას ტომი ჰქვია, — გაუსწორა მამამ, — ტომს ძალიან უნ-  
და სწავლა.

— ძალიან კარგი! შენ ყველა ჩვენ ბავშვებთან ერთად ითა-  
ვსებ, ირბენ და ისწავლი. წადი ახლავე მათთან! აი, ისინი ახლა  
თამაშს იწყებენ და მათ სკირდებათ სწორედ ერთი ამხანაგი,  
რომ ყველას თავისი წყვილი ჰყავდეს.

მან ტომი მიიყვანა პატარა თეთრ ბიქთან და უთხრა:

— აი შენ ამხანაგი, უონ! მას ტომს ეძახიან, გაიცანი და  
ითამაშეთ.



— ტომი! მხიარულად წამოიყვირა ბიჭმა, — მე ბიძაშვილი ყავს, მასაც ტომი ჰქვია. ის სხვა ქალაქში წავიდა, კუნძულზე მაგრერ იქნები.

ბავშვები წავილ-წყვილად ხელჩაკიდებული დარბოდენ. ქუჩებში წითელი დროშებით მოდიოდა დიდი ბრბო მუშებისა. უკრავდა ორქესტრი, და მუშები მღეროდენ იმის შესახებ, რომ მშიერი მონები მზად არიან იბრძოლონ, რომ მათ შეუძლიათ თვითონვე გაითავისუფლონ თავი. ბავშვებმა თამაში მიატოვეს და ფანჯრებისაკენ გაიქცენ. დეიდამ ფანჯარა გააღო, და ბავშვებმა დაიწყეს ხელის ქნევა.

— დღეს დღესასწაულია ყველა მუშებისა, — თქვა ჯონმა, — ისინი მიდიან ყველა ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან მოედანზე. იქ კრება იქნება. იქ ილაპარაკებენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მუშები, საბჭოთა კავშირიდანაც კი. შენ იცი, რა არის საბჭოთა კავშირი? ეს ის ქვეყნაა, სადაც არ არიან ფაბრიკან-ტები, სადაც ხელისუფლება მუშების ხელშია!

ამ დროს დემონსტრანტი მუშებიდან ვიღაცამ შეჰყვირა:

— „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“ — და ყველა მუშამ იყიდე გამეორა. იგივე შეჰყვირეს ბავშვებმაც და მათ შორის ტომმა, რომელმაც გაიგო მხოლოდ ერთი: რომ საბჭოთა კავშირში არ არის ჯამ-ქროუ, რომ იქ ყველა ერთია, ისე, როგორც ამ დემონსტრანტებში და ამ სახლში.

თარგმ. ელ — ის.



(არავი)

დაძმობილდენ ერთხელ  
მელია და მგელი  
და მიდიან ერთად,  
ნახეს შარა გრძელი.

და მიაღევენ გზაში  
ერთ პატარა რუსა  
(სიგანე იმისი  
აღწევს ალაბს ხუთსა).

მგელმა უთხრა მელას  
 სიტყვა ამაყური:  
 — მოდი და პირობა  
 დავდვათ ვაქაცური:  
 „ვინც გახტება რუზე  
 გაღმა ნაპირს მშრალად,  
 ვერგამხტომის შექმა  
 ჰქონდეს იმას ვალად“.  
 ხელი მისცა მელამ...  
 აწია მგელი,  
 გახტა დქით ნაპირს,—  
 ბეჭვიც არ აქვს სველი.



დაიხია უკაბ  
 და გაქანდა მელა,  
 მაგრამ შეარუში ჩაიყურყუმელა.  
 თავს დააცხრა მგელი,  
 გაათრია გაღმა:  
 — ახლა, ძმაო, უნდა  
 დაგაბრუნო წილმა!  
 და ამ დროს მოფრინდა  
 იქ კოდალა ჭრელი.  
 — ხომ კარგად მცოდნია  
 დაჭრელება შენი?  
 — როგორ? — ჰქითხა მგელმა,—  
 აჭრელებ შენ, განა?  
 — მაგ ხელობით მიცნობს,  
 ძმაო, მე ქვეყანა.  
 — მელავ, შეგიძლია




დაჭრელება ჩემი? —  
— ვითომ, ძმაო, რაში  
შემეშლება ხელი?  
— და მაშ შემინდევია  
ცოდვაც, ძამიკონა!  
— მომიტანე ჩალა  
ოცდაათი კონა!  
შიგ გახვია მეღამ  
თავისი ძმობილი,  
მოუქირა თოკი,  
დადვა შეკოჭილი.  
გაუჩინა ცეცხლი,  
ალმა იბრიალა,  
გვერდებდახრუქულმა  
მგელმა იღრიალა.



— ცოტა მოითმინე! —  
ანუგეშებს მეღლი, —  
ახლავე იქნება  
გვერდი შენი ჭრელი.  
მგელის „ვა-ვურ“  
მალლა ცამდის წვდება.  
„კიდვე მოითმინე!“ —  
მეღლა ეუბნება...  
და რომ დანახშირდა  
„ამხანაგი“ მგელი,  
მაშინ უთხრა მეღლამ:  
ახლა ხარო ჭრელი!

გ. ლომთათიძე.



## ოქტომბრელი

მე მახარებს ძალიან  
ეს ქალაქი მზიანი,  
წინ მივდივარ პატარა,  
ნორჩი აღმიანი.

რა კარგია, როდესაც  
მაღლა დროშა ფრიალებს,  
პიონერთა რაზმების  
სიმღერები წერიალებს.

დღეს თუ ოქტომბრელი ვარ  
და ნორჩი მაქვს ხელები,  
პიონერთა სიაში  
ჩქარა ჩავეწერები.

დ. ბერიკაშვილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. აბაშიძე

პ/ზგ. მდივანი: ვ. აღლაძე.

## სელის მომზადებელთა საყურადღებო დღე

„ოქტომბერი“ № 5-6 ებჯავებია სელის მომზადებელთა № 3-ის ნაცვლად, ასევე საბუღალტრო სამსახურის № 20-3 „ოქტომბერი“-ს გთლივანი თირავი არ დაიგვადა ტექნიკური მიზანის გამოსახულის გამო.

სახელმწის პერიოდულების გამო.

საქართველოს გ. კ. ი. ცენტრალური გიურის და განათლების სახალხო კომისარის უფროსი გავმვთათვის

## „ოქტომბერი“

ყოველია იქტომბერის უდია გამოიჭეროს

## — „ოქტომბერი“

უცნაურ „ოქტომბერი“-ს 1934 წლის პიელა ცოხვერში დაიგვადება საინტერნაციო მოთხოვნები, ლეპსები, ზღაპრები და გასართობები.